ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3296469

ნომერი: AR1508854

თარიღი : 30.05.2017

გაცემის თარიღი : 06.06.2017

გაცნობის თარიღი : 06.06.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ყაზბეგი , N 32-34 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მჭედლიშვილი პ/ნ 01007001686
- წერეთლის გამზირი 71, ბ.24

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: versadeni
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404454238
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი მჭედლიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01007001686

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და

სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარმოდგენილ თქვენს განცხადებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საკითხის შესწავლისას, წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. შევსებული იქნას შეთანხმებული პროექტის და მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტების ველი;
2. წარმოდგენილი უნდა იქნას კ2 კოეფიციენტების გადამეტებისთვის გაცემული სპეციალური ზონალური შეთანხმების მოსაკრებლის გადახდის ქვითარი;
3. წარმოდგენილი უნდა იქნას მშენებლობის მოსაკრებლის გადახდის ქვითარი;
4. თუ შეთანხმებული პროექტის კორექტირებით ხდება საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებულ მესაკუთრეთა საკუთრების საგნის ცვლილება, საჭიროა წარმოდეგნილი იქნეს მესაკუთრეთა თანხმობები (შესაბამისი ფორმით დამოწმებული);
5. არ არის წარმოდგენილი გეოლოგიური ნაწილის საექსპერტო შეფასება;
6. წარმოდგენილი უნდა იქნეს შენობა-ნაგებობის სრულ კონსტრუქციულ პროექტზე საბოლოო საექსპერტო შეფასება, ინფორმაცია შემსრულებლის (პასუხისმგებელი პირის) შესახებ, რომელიც მოიცავს შემსრულებლის სახელს/დასახელებას, საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი), პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს ან/და ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (თქვენს მიერ წარმოდგენილია კონსტრუქციული დასკვნა ჩასატარებელ სამუშაოთა შესახებ);
7. წარმოდგენილი იქნეს არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა.

ამასთან გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ხარვეზების სრულყოფილად გასწორების შემდგომ საკითხი განსახილველად გადაეცემა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.